ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 26 მარტის

ოქმი № 3

სხდომას ესწრებოდა: 28 წევრიდან - 15

დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

2. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგები
   მომხს: ვ. მელიქიძე, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

3. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო ფორუმისთვის გამარჯვებული ნაშრომის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

4. გარდამავალ დოქტორანტთა შესახებ ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

5. "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შესარჩევი წესისა და საკონკურსო კომისიის სავარაუდო შემადგენლობის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

7. სტუდენტთა და პროფესორთა მივლინების ფინანსური ანგარიში
მომხს: თეა ვახანია, ფინანსური ოფიცერი

მოისმინეს: 1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესის მიღების აუცილებლობაზე ისაუბრა თამარ დოლბაიამ. საკითხი განსახილველად გამოტანილი იყო 26 თებერვლის საბჭოს სხდომაზე, სადაც აზრთა სხვაობა გამოიწვია ერთიანი კრიტერიუმების შემოღებისა და ჯგუფური პროექტების შემთხვევაში პროექტის თითოეული მონაწილის წილის განსაზღვრის აუცილებლობამ.
აზრი გამოთქვეს: დ. ოსეფაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. მაჭარაშვილმა და სხვა.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის წესი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 2. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგების საბჭოს წარუდგინა ვ. მელიქიძემ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ,
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს:

1. ცნობად იქნეს მიღებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგები
2. თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანების (№22/04, 2014-12-30) შესაბამისად დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს განახორციელებს ფაკულტეტის საბჭო

მოისმინეს: 3. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო ფორუმისთვის გამარჯვებული ნაშრომის გამოვლენის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ. მან დამსწრეთ გააცნო საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, დ. ოსეფაშვილმა, თ. მახარაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო ფორუმისთვის გამარჯვებულად გამოვლინდეს, ბაკალავრიატის მე-6 სემესტრის სტუდენტის ეკატერინე ლაზარაშვილის ნაშრომი "საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ტექნოგენური ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები"
2. პროფესურა მეტი ყურადღებით მოეკიდოს სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში ჩართვასა და კვლევითი უნარების განვითარებას.

მოისმინეს: 4. გარდამავალ დოქტორანტთა შესახებ ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების რევიზიის თაობაზე ისაუბრა

ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ, ვინაიდან ამ თხოვნით, გარდამავალი სტატუსის დოქტორანტებმა მედეა ბადაშვილმა და ინგა ქორიძემ განცხადებით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას. ზემოთხსენებული გადაწყვეტილების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოცემულ რეგულაციებს, მათ არ ეძლევაშ საშუალება დისერტაციის წარდგენისა და დაცვის.
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, დ. ოსეფაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვა.

დაადგინეს: გაუქმდეს ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და აღუდგეთ სტატუსი ამ დადგენილებით დაცვის უფლებაშეწყვეტილ დოქტორანტებს.

მოისმინეს: 5. "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესის პროექტი და საკონკურსო კომისიის სავარაუდო წევრები წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაიამ.
აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ზ. დავითაშვილმა, გ. კაკაურიძემ, თ. მახარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსების წესი (ოქმს თან ერთვის) და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

1. მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
2. ვალერიან მელიქიძე – დეკანის მოადგილე
3. ნათელა მონიავა – სასწავლო პროცესის სამსახურის მართვის უფროსი
4. ნათია დათიაშვილი – უფროსი სპეციალისტი
5. თამარ გოგორიშვილი – უფროსი სპეციალისტი
6. მაია ჟღენტი – უფროსი სპეციალისტი
7. თამარ ქარსაულიძე – უფროსი სპეციალისტი
8. ნინო ქუფარაშვილი – უფროსი სპეციალისტი

მოისმინეს 6.სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შესარჩევი წესისა და საკონკურსო კომისიის სავარაუდო შემადგენლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, დ. ოსეფაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: : დამტკიცდეს მაგისტრანტთა დაფინანსების წესი (ოქმს თან ერთვის) და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

ა) მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე

ბ) ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი

გ) გიორგი გოგსაძე – პროფესორი

დ) იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ე) მალხაზ მაცაბერიძე – პროფესორი

ვ)დალი ოსეფაშვილი – პროფესორი

ზ) მედეა უშარაული – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი

მოისმინეს: 7. სტუდენტთა და პროფესორთა მივლინების ფინანსური ანგარიში წარმოადგინა ფინანსურმა ოფიცერმა თეა ვახანიამ,
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული სტუდენტთა და პროფესორთა მივლინების ფინანსური ანგარიში (ოქმს თან ერთვის) და სამივლინებო თანხების გაცემა განხორციელდეს თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებისა (№12/04, 19.03.2015) და სტუდენტთა მივლინების საფაკულტეტო წესის შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ დოლბაია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი ნინო დურგლიშვილი

26 აპრ, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. ალექსანდრე რონდელი
9. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. გამონაკლის შემთხვევაში (მაგალითად შემოქმედებითი პროექტი), ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

ნაშრომში უნდა აისახოს სწავლების მოცემულ საფეხურზე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი.

სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა

- სწავლების მესამე სემესტრის განმავლობაში, მაგისტრანტი ხელმძღვანელთან ერთად ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის არჩევის შესახებ სტუდენტი შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც მიმართულების სხდომაზე დასამტკიცებლად გააქვს თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი. ოქმის ასლი, მაგისტრანტების განცხადებებთან ერთად, წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მე-4 სემესტრის დაწყებამდე.

- IV სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, მაგისტრანტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: სამაგისტრო ნაშრომი (შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მითითებით).

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა ქართულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე). ნაშრომს თან უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული 300 სიტყვა).

უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
2. ანოტაცია (ქართულ და უცხოურ ენებზე);
3. სარჩევი (შინაარსი);
4. შესავალი;
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
6. დასკვნა;

7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
8. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
9. სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

დეტალური ინფორმაცია თითოეული კომპონენტის დიზაინის შესახებ იხილეთ დანართ #1-ში.

პლაგიატი:

ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.

მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით. ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები და სხვ.

პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული, ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება. მან უნდა აიღოს დამატებითი სემესტრი ახალი ნაშრომის მოსამზადებლად.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა:

ა) **ნაშრომის წინასწარი დაცვა და რეცენზირება:**

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე ინიშნება მისი წინასწარი დაცვა.

- სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე, სულ მცირე, ერთი თვით ადრე ნაშრომის სრული ვერსია წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე წინასწარი განხილვისთვის.

- წინასწარი დაცვის შემდგომ, პროგრამის ხელმძღვანელი გამოყოფს სამაგისტრო

ნაშრომის რეცენზენტს.

- რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი.

- რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე 10 დღით ადრე. რეცენზენტი დაცვამდე 3 დღით ადრე წარადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით, რომელშიც ის აფასებს ნაშრომს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

- რეცენზენტი ესწრება ნაშრომის საჯარო დაცვას და თავის დასკვნას საჯაროდ აცნობს კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი ფიზიკურად ვერ ესწრება დაცვას, წერილობით დასკვნას უგზავნის სამაგისტრო დაცვის კომისიის თავჯდომარეს.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა

- წინასწარი განხილვის შემდეგ, დაცვამდე 2 კვირით ადრე მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში.

- სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული ან აკინძული ზამბარაზე). სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, შეფასების (ქულის) გარეშე.

- ნაშრომის ელექტრონული ვერსია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან ერთად, ეგზავნება კომისიის წევრებს.

- წინასწარი დაცვისა და საჯარო დაცვის გრაფიკი მიეწოდება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, დაცვის პროცესში ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ჩართვის მიზნით.

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგიტრანტის ხელმძღვანელიც, მაგრამ ის არ მონაწილეობს მისი

ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომის შეფასებაში.

- სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული შეფასება ა რ ი ს მ ი ნ ი მ უ მ 51 ქულა.

- სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

- ოქმს თან უნდა ერთვოდეს რეცენზიები და კომისიის მიერ დაწერილი შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

- დაცვიდან ორ სამუშაო დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად.

- სამაგისტრო ნაშრომი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, თანდართული ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნებით, ექვემდებარება დაარქივებას თსუ–ში დადგენილი წესის მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

“პოლიტიკის მეცნიერება”, “საზოგადოებრივი გეოგრაფია”, “დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია”, “სოციოლოგია”, “სოციალური მუშაობა”, “ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია”, “ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები”, “გენდერის კვლევა”

I. ნაშრომის შეფასება (ფასდება რეცენზენტის მიერ)	მაქსიმუმ 60 ქულა (დაცვაზე გასვლის წინაპირობა მინიმუმ 11 ქულა)
1. ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	მაქსიმუმ 50 ქულა
ა) აქტუალობა და შინაარსი (ფასდება თემის აქტუალობა, სიახლე, სტრუქტურის/ შინაარსის შესაბამისობა ნაშრომის სათაურთან, მიზნებისა და ამოცანების ადექვატურობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების დონე და სხვ.)	მაქსიმუმ 10 ქულა
ბ) კვლევითი და თეორიული კომპონენტი (გამოყენებული მეთოდების სისრულე და კორექტულობა, თეორიული მასალის ცოდნა, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში პრაქტიკული ან თეორიული თვალსაზრისით და სხვ.)	მაქსიმუმ 15 ქულა
გ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების სამართლიანობა და ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი ტექსტიდან და სხვ.)	მაქსიმუმ 15 ქულა
დ) ნაშრომის გაფორმება და ენობრივ-სტილისტური მხარე (ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა; რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების დონე და სხვ.)	მაქსიმუმ 10 ქულა

2. ნაშრომის ფორმალური მხარე (ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA სტილის დაცვა)	მაქსიმუმ 10 ქულა
II. პრეზენტაციის შეფასება (ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცის დროს)	მაქსიმუმ 40 ქულა
ა)გადმოცემული მასალის ადეკვატურობა (ფასდება მაგისტრანტის მიერ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მასალის შესაბამისობა შემდეგ ასპექტებთან - თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ნაშრომის სტრუქტურა, გამოყენებული მეთოდები, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში, დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან ადექვატურ წარმოდგენას ნაშრომის შესახებ; დროის სწორად განაწილება და სხვ.)	მაქსიმუმ 10 ქულა
b) არგუმენტირების და დასკვნის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი, დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების სისწორე და ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი მსჯელობიდან და სხვ.)	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების წარმოდგენის ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი; წახალისდება პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.. ფასდება მაგისტრანტის უნარი აზრის სწორი, გასაგები და გამართული გადმოცემისა, დისკუსიის კულტურისა და სხვ.)	მაქსიმუმ 10 ქულა
დ) კომუნიკაციის უნარი (კომისიის წევრებისა და აუდიტორიის კითხვებზე პასუხი და შენიშვნებზე კომენტარები, მათ შორის რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე)	მაქსიმუმ 10 ქულა

„მედია და ახალი ტექნოლოგიების პროგრამის“

სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

სამაგისტრო პროექტი	**მაქს. 60 ქულა**
1. რეცენზენტის შეფასება	**მაქს. 60 ქულა**
1.1.კვლევითი კომპონენტი: ➢ აქტუალობა და სიახლე - 10 ქულა; ➢ ანალიზისა და დასკვნის უნარი - 10 ქულა; ➢ ენა და სტილი - 10 ქულა.	**30 ქულა**
1.2. პრაქტიკული პროდუქტი: ➢ შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა ➢ ობიექტურობა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტე - 10 ქულა ➢ ინფორმაციის წყაროები - 5 ქულა ➢ ენა და სტილი - 5 ქულა	**30 ქულა**
2. ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) **(ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის დროს)**	**მაქს. 40 ქულა** (დადებითი შეფასება მინიმ. 21 ქულა)
ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე ➢ მასალის ფლობა –10ქულა ➢ ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –5ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა ➢ კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა	მაქს. 35 ქულა
ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	მაქს. 5

ნაშრომის საბოლოო შეფასება (რეცენზენტის ქულა+კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება)	**მაქს. 100 ქულა** (დადებითი შეფასება მინიმუმ 51 ქულა)

„მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის კრიტერიუმები:

N	**ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები**	**60 ქულა**
1	ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული სიახლე/მნიშვნელობა, ორიგინალობა;	10
2	ნაშრომის ორგანიზება და სტრუქტურა;	5
3	საკითხის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი;	5
4	კვლევის ჰიპოთეზის, საკვლევი კითხვის, მიზნისა და ამოცანების ფორმულირება; კვლევის მეთოდოლოგია;	10
6	კვლევის შედეგების ადეკვატური სტატისტიკური დამუშავება, მათი წარმოდგენა და ანალიზი;	10
7	დასკვნების შესაბამისობა მიღებულ შედეგებთან, დასახულ მიზანსა და საკვლევ კითხვებთან;	10

8	ენა და სტილი; ნაშრომის გაფორმება;	10
პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები: 40 ქულა		
1	ზეპირი პრეზენტაციის უნარი	20 ქულა
2	კამათის და დაცვის უნარი	20 ქულა
	ნაშრომის საბოლოო შეფასება (რეცენზენტის ქულა+კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება)	**მაქს. 100 ქულა** (დადებითი შეფასება მინიმუმ 51

სამაგისტრო პროგრამები: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“, „ნაციონალიზმი და ეთნიკურობის კვლევები“, „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ (ინგლისურენოვანი)

სამაგისტრო ნაშრომის (წერითი ნაშრომი) შეფასების ფორმულარი

კრიტერიტერიუმი	მაქსიმალური ქულა (70 ქულა)	მინიჭებული ქულა
ნაშრომის აქტუალობა, მეცნიერებაში შეტანილი წვლილი	10 ქულა	

აკადემიური ნაშრომისთვის აუცილებელი კომპონენტების არსებობა (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები, კვლევის მეთოდოლოგია, თეორია)	15 ქულა	
თეორიული მასალის ცოდნის და მისადაგების დონე	10 ქულა	
მკვეთრად გამოკვეთილი და რელევანტური მეთოდოლოგია	10 ქულა	
არგუმენტების მართებულობა და ანალიზი	15 ქულა	
წყაროების მრავალფეროვნება, მათი სწორად მითითება (ტურაბიანის მეთოდით)	5 ქულა	
ნაშრომის გაფორმება, სტილისტური და ენობრივი მხარე, გრამატიკულად გამართულობა	5 ქულა	
კომენტარი (სავალდებულოა გამსწორებლისთვის):		

სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების ფორმულარი

კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა (30 ქულა)	მინიჭებული ქულა
ზეპირი პრეზენტაციის შინაარსობრივი გამართულობა, წერილობით ნაშრომთან შესაბამისობა	8 ქულა	
თემის პრეზენტაბელურობა და კომუნიკაციის უნარი	8 ქულა	
არგუმენტების დამაჯერებლობა	8 ქულა	
კითხვებზე პასუხის გაცემა	6 ქულა	

სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (100 ქულა, რომლის წილი საერთო შეფასების სისტემაში 60 პროცენტია)

კრიტერიუმი	**მაღალი, საშუალო, დაბალი შეფასების აღმწერები**
თემის აქტუალობა, **ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის** **მეთოდოლოგია** (40 ქულა)	თემა აქტუალურია, დამუშავებულია რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურული, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროები; მაგისტრანტმა წარმატებით გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს . თემა აქტუალურია, დამუშავებულია საკმარისი, რელევანტური, თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროები; მაგისტრანტმა დამაკამაყოფილებლად გამოავლინა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი; გამოყენებული მეთოდოლოგია ადეკვატურია. თემა აქტუალურია, თუმცა ეფუძნება მწირ წყაროებს; მაგისტრანტი სათანადოდ ვერ ავლენს კვლევის დამოუკიდებლად განხორცილების უნარს; გამოყენებული მეთოდოლოგია ადეკვატურია
პრობლემის	სტუდენტმა წარმატებით შეძლო პრობლემების შესწავლა, რელევანტური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და

შესწავლა, ინფორმაციის **კრიტიკული ანალიზი და** **დასაბუთებული** **დასკვნების ჩამოყალიბება (40 ქულა)**	დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება სტუდენტმა დამაკამაყოფილებლად შეძლო პრობლემების შესწავლა, რელევანტური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება სტუდენტმა სათანადოდ ვერ გაართვა თავი პრობლემების შესწავლას, რელევანტური ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას
ნაშრომის შესრულების დონე (20 ქულა)	ნაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე, გამართული ქართულით, აზრები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული; არგუმენტაცია დამაჯერებელია; მაგისტრანტმა გამოავლინა კვლევითი საკითხის ღრმა და სისტემური ცოდნა ნაშრომის აკადემიური დონე დამაკმაყოფილებელია, შეინიშნება ენობრივი ხარვეზები, აზრებს აკლია სიცხადე; არგუმენტაცია დამაჯერებელია; მაგისტრანტმა გამოავლინა კვლევითუ საკითხის დამაკმაყოფილებელად ცოდნა ნაშრომი შესრულებულია სერიოზული ენობრივი ხარვეზებით, აზრები ბუნდოვანია არგუმენტაცია არადამაჯერებელია; მაგისტრანტი სათანადოდ ვერ ერკვევა კვლევით საკითხში; ნაშრონის აკადემიური დონე დაბალია

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის (ზეპირი პრეზენტაციის) შეფასების

კრიტერიუმები (100 ქულა, რომლის წილი საერთო შეფასების სისტემაში 40 პროცენტია)

	მაღალი	**საშუალო**	**დაბალი**
პრეზენტაციის სტრუქტურა (15)	პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) კარგად არის დაბალანსებული და ლოგიკურია	პრეზენტაციის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნები) დაბალანსებულია დამაკმაყოფილებლად	პრეზენტაციი სტრუქტურა დაუბალანსებელი და ნაკლებადლოგიკურია
ნაშრომის შინაარსი (40)	კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები, მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები , მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მიეწოდება ნაკლებად ნათლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად	კვლევის საკითხი და პრობლემები, გამოყენებული თეორიები, მეთოდები , მონაცემები/ფაქტები, ანალიტიკური მიდგომები და დასკვნები აუდიტორიას მი ეწოდება ბუნდოვნად

აუდიტორიასთან **კონტაქტი (15)**	მთელი პრეზენტაციის მანძილზე სტუდენტს აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი	სტუდენტი ვერ ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს მთელი პრეზენტაციის განმავლობაში	სტუდენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან
გამოყენებული მასალა, პრეზენტაციის ტექნოლოგია (15)	პრეზენტაციისათვის გამოყენებულია მრავალფეროვანი, რელევანტური, ინფორმატიული მასალა, რაც მიწოდებულია ეფექტურად. სტუდენტი კარგად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	პრეზენტაციისათვის გამოყენებულია რელევანტური მასალა, რაც მიწოდებულია ნაკლებად ეფექტურად. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას	პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა მწირია ვიზუალური პრეზენტაციის ტექნოლოგიას სუსტად ფლობს
კითხვებზე პასუხი, დისკუსია (15)	სტუდენტის პასუხები მართებული და არგუმენტირებულია, რაც ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტული და დამაჯერებელია.	სტუდენტის პასუხები დამაკმაყოფილებელია, აკლია არგუმენტირება და დამაჯერებლობა. ვერ ადასტურებს საკითხის კარგად ცოდნას. დისკუსიის დროს კორექტულია.	სტუდენტის პასუხები არადამაჯერებელი და/ან არამართებულია.

დანართი #1

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

10. თავფურცელი (სატიტული ფურცელი);
11. ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
12. სარჩევი (შინაარსი);
13. შესავალი;

1 4 . ტექსტის ძირითადი ნაწილი;

15. დასკვნა;
16. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
17. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
18. სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) – ივსება მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

- ფურცლის თავში უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული დასახელება, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი (შრიფტის ზომა 18);
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელების ქვევით, 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა 16);

- შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა 16) (მას არ მიეწერება სიტყვა “თემა” და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);

- სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა 14);

- სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (შრიფტის ზომა 14) (მაგ: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);

- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარესთან მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, აკადემიური თანამდებობა;

- სულ ქვემოთ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი/ქალაქი და წელი ციფრებით.

ანოტაცია - აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 300 სიტყვა; უნდა დაიწეროს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. უცხოენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის გვარს და ინიციალებს. ჯგუფური პროექტის შესრულებისას ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შინაარსი (სარჩევი) – ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა მოხდეს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შედარებითი ანალიზი - რითი განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. შესავლის მოცულობა, სასურველია არ აღემატებოდეს 2-3 გვერდს.

ტექსტის ძირითადი ნაწილი - ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და პარაგრაფებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის დასახელება იწერება **16-იანი ზომი შრიფტით.**

დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

სამაგისტრო ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (იხილეთ **დანართი #2**).

გაფორმება

- სამაგისტრო ნაშრომი აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (.doc გადაფრთოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);
- შესაძლო შრიფტის სახე –Acad Nusx, Sylfaen, Times New Roman;
- შრიფტის ზომა – 12 (Acad Nusx და Times New Roman), 12 (Sylfaen);
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, არანაკლებ 70 გვერდისა გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე.

წარდგენა

1. ყდაში ან ზამბარაზე აკინძული A4 ფორმით;

2. ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომზე;

3. სამაგისტრო ნაშრომის სრული ელექტრონული ვერსია – CD;

დაცვის შემდგომი პროცედურები

საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომები შესაძლოა აიტვირთოს ფაკულტეტის ვებ გვერდზე. სამაგისტრო ნაშრომი ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, თანდართული ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნებით, უნდა ინახებოდეს ფაკულტეტის საარქივო სივრცეში 5 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდგომ გადაეცემა თსუ–ს ცენტრალურ არქივს.

დანართი #2

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილი[1]

კვლევის ანგარიშის ტექსტში წყაროს მითითება ორი გზითაა შესაძლებელი: სქოლიოს ან ,,ჩართულის" გამოყენებით. თუმცა, ბოლო პერიოდში სოციალურ მეცნიერებებში ,,ჩართულის" გამოყენება უფრო პოპულარული გახდა, ვინაიდან მკვლევარნი მას უფრო მოსახერხებლად მიიჩნევენ. «ჩართული» საშუალებას იძლევა, წყარო პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე იყოს მითითებული. APA-ს ფორმატის ფარგლებში ,,ჩართულის" გამოყენებას თავისი წესები აქვს:

- მთლიანი ნაშრომის შეჯამებისას, შეჯამებული პარაგრაფის ბოლოს, ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის გვარი და პუბლიკაციის თარიღი, რომლებიც მძიმით გამოიყოფა;
- თუ ავტორი მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, ფრჩხილებში მხოლოდ პუბლიკაციის თარიღი იქნება მითითებული;
- თუ ავტორიცა და პუბლიკაციის თარიღიც მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, «ჩართულის» გამოყენება საჭირო აღარაა;
- თუ გარკვეული ქვეთავის ან პარაგრაფის პერიფრაზირებას ვახდენთ, ანდა უშუალოდ ციტატა მოგვყავს, ავტორის გვართან და პუბლიკაციის თარიღთან ერთად, აუცილებლად იწერება გვერდის ნომერიც;
- როცა ნაშრომს ორი ავტორი ჰყავს, ყოველი მითითებისას, ჩართულში ორივე ავტორის გვარი იქნება;
- როცა ნაშრომს სამი და მეტი ავტორი ჰყავს, პირველი მითითებისას, ჩართულში ყველა ავტორის გვარი იქნება წარმოდგენილი, შემდგომი მითითებებისას კი _ მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და აღნიშვნა «et al.,» რაც ნიშნავს «და სხვები.»;
- თუმცა პირადი წერილები, სატელეფონო საუბრები და მსგავსი მასალა, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, არ არის მითითებული ბიბლიოგრაფიაში ტექსტის შემდეგ, ისინი აუცილებლად მითითებულია «ჩართულში»;
- თუ გარკვეული იდეა რამდენიმე წყაროშია მოხსენიებული, მისი მითითება შემდეგი სახით ხდება:

[1] წულაძე, ლ. (2008). *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

- ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის მითითება, მათი გამოცემის თარიღის მიხედვით ხდება: (ბლუმი, 1956, 1962).

- თუ ავტორს ორი ნაშრომი ერთ წელსაა გამოცემული, ისინი შემდეგი სახით უნდა განვასხვავოთ: (ბლუმი, 1956ა, 1956ბ).

- სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები მათი გვარების ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით უნდა მივუთითოთ და ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით უნდა დავაშოროთ (გოულდი, 1989; სმიტი, 1983; ტერნერი, 1989).

და ბოლოს, წარმოგიდგენთ ბიბლიოგრაფიის მითითების ტექნიკას APA-ს ფორმატის ფარგლებში:

- წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:

I ავტორის გვარი, ინიციალი. და II ავტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- სტატია ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რედაქტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის ან თავის სათაური. წიგნის რედაქტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). *წიგნის სათაური* (გვერდები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- ხელახლა გამოცემული წიგნი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* (მერამდენე გამოცემაა). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- წიგნი, რომელსაც ავტორი ან რედაქტორი არა ჰყავს:

წიგნის სათაური. (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- მრავალტომიანი ნაშრომი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *წიგნის სათაური.* (ტომები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- ლექსიკონი:

სათაური. (მერამდენე გამოცემაა). (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- სტატია ჟურნალიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სათაური*, ტომის ნომერი, გვერდები (არ იწერება გვ.).

- სტატია გაზეთიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *გაზეთის სათაური*, გვერდები (იწერება გვ.).

- დისერტაცია ან ავტორეფერატი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* დისერტაცია, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

- ლექციაზე მიცემული მასალა:

ლექტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* მასალა წარმოდგენილი ამა და ამ ლექციაზე, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

- სამთავრობო დოკუმენტი:

სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება. (გამოცემის თარიღი). *დოკუმენტის სათაური* (პუბლიკაციისა თუ ბრძანების ნომერი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- არანაბეჭდი წყაროები:

გვარი, ინიციალი. (პოზიცია). (თარიღი). სათაური [ფილმი, ტელეგადაცემა...]. გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

- მასალა ინტერნეტიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. *ნაშრომის სათაური სრულად.* ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის
„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ფარგლებში
სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი

1) „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე. ასევე, დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც კალენდარულ სემესტრში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 5 დეკემბრის ბრძანების №2013/01-01 (დანართი №1) შესაბამისად.

2) სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს 100 ქულიანი სისტემით:

ა) **აკადემიური მოსწრება** - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი; ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის სტუდენტისთვის - არანაკლებ 27 კრედიტისა) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე.

ბ) **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით. მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები.

2 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში

3 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში

გ) **სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

2 ქულა - საქართველოში თსუ-ს ფარგლებს გარეთ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა

3 ქულა - თსუ-სა და უცხოეთში სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა

3)სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

4) საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი, თავფურცლისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობისას – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი.

5)სტიპენდიით დაფინანსება არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტზე.

6)სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას, ფაკულტეტის დეკანი საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდი აითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე (ოქმი #3).

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საკონკურსო კომისია

1. მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
2. ვალერიან მელიქიძე – დეკანის მოადგილე
3. ნათელა მონიავა – სასწავლო პროცესის სამსახურის მართვის უფროსი
4. ნათია დათიაშვილი – უფროსი სპეციალისტი
5. თამარ გოგორიშვილი – უფროსი სპეციალისტი
6. მაია ჟღენტი – უფროსი სპეციალისტი
7. თამარ ქარსაულიძე – უფროსი სპეციალისტი
8. ნინო ქუფარაშვილი – უფროსი სპეციალისტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესი

1. საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტთა სწავლის საფასურის სემესტრულ დაფინანსებას.
2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური შედეგებისა და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის, ხოლო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტებისთვის – მინიმუმ 27 კრედიტის საფუძველზე.
3. აკადემიური შედეგების საფაკულტეტო რეიტინგული მონაცემები (ყველა ჩაბარებულ საგანში მინიმუმ 81 ქულისა და მეტის საშუალო არითმეტიკული) დაანგარიშდეს 100 ქულიანი სისტემით, თსუ–ს მიერ ფაკულტეტისთვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით.
4. ყოველი სემესტრისთვის დასაფინანსებელი თანხის ზუსტი პროცენტი დასაფინანსებელ სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და თსუ–დან გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით დადგინდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
5. მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტების დაფინანსება განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დაწესებულ სპეციალობის გამოცდაზე მიღებული ქულებისა (არანაკლებ 81 ქულა) ან/და გასაუბრების შედეგების საფუძველზე.
6. მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა თანაბრად გადანაწილდეს სემესტრებს შორის.
7. საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისია .
8. საფაკულტეტო დაფინანსება არ შეეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის, ან სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სხვა სახის დაფინანსების მქონე მაგისტრანტებს.
9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2013 წლის 25 ოქტომბრის (ოქმი #9) და 2013 წლის 9 დეკემბრის (ოქმი #10) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე (ოქმი #3).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შესარჩევი საფაკულტეტო კომისია

ა) მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე

ბ) ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი

გ) გიორგი გოგსაძე – პროფესორი

დ) იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ე) მალხაზ მაცაბერიძე – პროფესორი

ვ)დალი ოსეფაშვილი – პროფესორი

ზ) მედეა უშარაული – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი

შენიშვნა

ოქმი № 3 –ში (2015 წლის, 26 მარტი), სამწუხაროდ, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. სახელდობრ, მე –3 და მე –5 საკითხების განხილვისას, პუნქტის – „აზრი გამოთქვეს“ – შესაბამის ჩამონათვალებში არ უნდა ეწეროს შემდეგი გვარები: მ.გერსამია, თ.მახარაძე, გ.კაკაურიძე.

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ნ. დურგლიშვილი ნინო დურგლიშვილი
23.04.15